(18.VI) წმ. ღირსი მიქაელ ულუმბელი, მონაზონი, VIს

ამ 5,14-15.21-24; ფს 49; მთ 8,28-34

ქძიდთ სიკეთე ამ 5,14

"მოძებნეთ სიკეთე და არა ბოროტება, რომ იცოცხლოთ": მაგრამ რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? ჩვენ არ ვიცით, ყოველთვის ღმერთს ვეკითხებით. თუ ვაკეთებთ იმას, რაც სიკეთეა მის თვალში, მივიღებთ მშვიდობას და სიხარულს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს ვავნებთ. მოვუსმენ იესოს და ვისწავლი მისგან და მისი მოციქულებისგან.

2 ივლისი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XIII კვირა [I], მწ

ამ 7,10-17; ფს 18; მთ 9,1-8

ისრაელს ღვაწასწლებენ ამ 7,11

რთულია წინასწარმეტყველთა მისია: ღმერთისადმი ერთგულებისკენ მოწოდება და იმ კატასტროფის გაფრთხილება, რომელსაც მისადმი დაუმორჩილებლობა გარდაუვლად იწვევს ცხოვრებაში! რთულია ჩვენთვის, რომლებიც ვცხოვრობთ იმათ შორის, ვინც არ იცის როგორ მიიღოს იგი, როგორ დაემორჩილოს იესოს. გამხნევდი, ის ახლოს არის და კვლავ გაიმარჯვებს!

3 ივლისი

პარასკევი
2026

წმ. თომა მოციქული, (დ), [ს], წ

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო. იო 20,28

ურწმუნო თომა გახდა რწმენის დიდოსტატი: "უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო". სწამს, რომ იესომ საკუთარი თავი შესწირა მისთვის ჯვარზე და გაიმარჯვა სიკვდილზე, ამიტომ, აღიარებს მას, თავისი ცხოვრების უფლად, თავის ღმერთად და სრულად ენდობა მას და ემორჩილება. მეც მასთანა ვარ შენს რწმენაში, იესო, "უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!"

4 ივლისი

შაბათი

2026

რიგითი XIII კვირა [I], მწ

(21.VI) წმ. არჩილი, საქართველოს მეფე, +744;
წმ.ელისაბედი, პორტუგალიის დედოფალი, +1336

ამ 9,11-15; ფს 84; მთ 9,14-17

ახალი ღვინო ახალ ტიკეებში მთ 9,17

ახალი ღვინო შენ ხარ, იესო! შენ იძლევი ახალ სიხარულს, რადგან გიყვარს და სიყვარულს ითხოვ. ძველი ღვინო არის ცხოვრება, რომელიც კმაყოფილდება წესების დაცვით. შენით ჩემს გულში, არ ვარ კმაყოფილი საკუთარი თავით, მაგრამ სავსე ვარ სიხარულით, რადგან შენ გიყვარვარ და შენ მაძლევ უნარს შევიყვარო, ყოველთვის!

5 ივლისი

5 ივლისი 2026

რიგითი XIV კვირადღე, «ა», [II], მწ

[წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუცესი, ბარნაბიტთა დამაარსებელი, +1539 კრემონაში (იტალია)]

ზაქ 9,9-10; ფს 144; რომ 8,9.11-13; მთ 11,25-30

ტუძალე ის ბრძენთ მთ 11,25

იესო ხარობს და აქებს მამას, გულუხვს ყველასთან. ვისაც აქვს ამპარტავანი გული, ვინც ფიქრობს, რომ საკუთარი შრომით ნახა ცისკენ მიმავალი გზა, ვინც არის ბრძენი ამ სოფლის მიხედვით, ვერ შეედრება "სულით ღარიბს". ამ უკანასკნელმა იცის, რომ არ გაა-ჩინია დამსახურება, მაგრამ ენდობა უფლის სიკეთეს და ემორჩილება მას მოკრძალებით.

6 ივლისი

ორშაბათი

2026

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწული და წამებული, +1902 ნეტუნოში (იტალია)

ოს 2,16-18.21-22; ფს 144; მთ 9,18-26

აჰა, შევიტკბობ მას უდაბნოში ჩავიყვანო,
რომ გულითადად ველაპარაკო. ოს 2,16

რამდენჯერ ვერ ახერხებს უფალი ამ თავისი სურვილის ასრულებას, რადგან ყოველთვის ძალიან დაკავებულს მხედავს! მას სურს შემხვდეს და მესაუბროს, რომ გადმომცეს ის მშვიდობა, ძალა, სიხარული, იმედი, სიბრძნე... რომელიც აახლებს ჩემს მთელ ცხოვრებას და ურთიერთობებს. შეხვედრა იესოსთან არის განკურნება, არის აღდგომა!

7 ივლისი

ოს 8,4-7.11-13; ფს 113B; მთ 9,32-38

ევედრეთ ჟანის უფალს მთ 9,38

იესო ყველას უყურებს სიყვარულით და თანაგრძნობას გამოხატავს მათ მიმართ, ვინც მას ეძებს. ავალებს თავის თანამშრომლებს, ევედრონ მამას, რომ ყოველთვის გამოგზავნოს მუშები, ადამიანები, რომლებსაც იგი უყვართ და სურთ გააცნონ ყველას. მივიღებთ მის მოწოდებას და ვევედრებით მას იმედითა და მოთმინებით.

8 ივლისი

ოთხშაბათი
2026

რიგითი XIV კვირა [II], მწ

ოს 10,1-3.7-8.12; ფს 104; მთ 10,1-7

ახლოა სასუფეველი ცათ მთ 10,7

ეს არის უწყება, რომელიც თორმეტმა უნდა მიმოფანტონ. ეს უნდა უთხრან ყველას და იტყვიან მას სიტყვებით, თან ახლავს სიყვარულის კონკრეტული ქმედებები ავადმყოფებისადმი, კეთროვნებისადმი, შეპყრობილთადმი და უსიცოცხლო ადამიანებისადმი. ცათა სასუფეველი, მართლაც, არის იმათი ერთად ცხოვრება, ვისაც უყვარს ღმერთის სიყვარულით!

9 ივლისი

ხუთშაბათი
2026

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი, ხუცესი, +1815, და მისი მეგობრები, ჩინეთში წამებულნი +1648-1930წწ.

ოს 11,1-4.8-9; ფს 79; მთ 10,7-15

როცა ისრაელი ბავშვი იყო, მიყვარდა ის ოს 11,1

ისრაელი არის წმინდა ხალხი, დაბადებული აბრაამის, ისაკის და იაკობის რწმენიდან; არის წინასწარმეტყველება ღმერთის ახალი ხალხისა, ეკლესიისა. არის სახელი, შინაგანი სინამდვილე ყოველი სულისა, რომელსაც უყვარს, უვლის, ზრდის უფალი. მეც ვარ და შენც ხარ ის ისრაელი!

10 ივლისი

პარასკევი

2026

რიგითი XIV კვირა [II]

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

ოს 14,2-10; ფს 50; მთ 10,16-23

მე განვკურნავ მათ ორგულობისაგან ოს 14,5

უფლისადმი ყოველი ორგულობა, ანუ ყოველი მისი ბრძნული მითითებებისადმი დაუმორჩილებლობა, როგორც მამისა და შემოქმედისადმი, იწვევს მძიმე ზიანს, ჩვენთვის და ბევრისთვის: ეს ისეა, თითქოს დაავადება შეეყაროს ჩვენს ცხოვრებას, დაასუსტებს და წაართმევს სიხარულს. და მარტონი ვერ განვიკურნებით! მხოლოდ იმ, მამას, რომელიც შეურაცხვყავით, შეუძლია ჩვენი გადარჩენა, და აკეთებს ამას, როცა მოკრძალებით მივიღებთ მის მკურნალობას.

11 ივლისი

შაბათი
2026

წმ. ბენედიქტე, აბატი, ევროპის მფარველი
+547 მონტე კასინოში (იტალია) დ, [ს], თ

იგავ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

მიგაგონეთ ყველაფერი ჩემ გამოგაცვიეთ მთ 19,27

წმიდა ბენედიქტემ მთელი თავისი ცხოვრება შესწირა იესოს და, მრავალ ძმასთან ერთად, დაამოწმა ღმერთის სიყვარული ლოცვითა და შრომით, რომელსაც მამა აკურთხებდა. დღეს შუამდგომლობს ზეციდან ევროპის ხალხებს, რომლებიც საჭიროებენ მოქცევას იესოსკენ, რომ იცხოვრონ ახალი და ძმური ცხოვრებით, მშვიდობასა და თანადგომაში.

12 ივლისი

ᲙᲕᲘᲠᲐ 2026

რიგითი XV კვირადღე, «ა», [III], მწ

ეს 55,10-11; ფს 64; რომ 8,18-23; მთ 13,1-23

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲓ ᲛᲗᲘᲡᲣᲚᲘ ᲗᲘᲡᲐᲓ მთ 13,3

იესო, შენ "გამოდიხარ" დღესაც მამის გულიდან ჩემს გულში მისი სიტყვის "დასათესად": მისი სიცოცხლე, მისი სუფევა, მისი სიყვარული, მისი სული. როდესაც მივიღებ მას, როდესაც გავიღებ მსხვერპლს ჩემი ძმის სიხარულისთვის, მოვიტან ნაყოფს: ვიქნები როგორც კარგი, მორწყული მიწა.

13 ივლისი

ორშაბათი
2026

რიგითი XV კვირა [III], მწ

(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს;
წმ. ჰენრიხი, გერმანიის იმპერატორი, +1024 ბამბერგში

ეს 1,10-17; ფს 49; მთ 10,34 - 11,1

შეკრიბეთ ოქროს ეს 1,17

ის, რაც ახარებს ღმერთს, ამბობს წინასწარმეტყველი, არ არის ის, რასაც მას მოვა-რთმევთ ან დღესასწაულები, რომლებსაც ვაწყობთ. მას სიამოვნებს, როცა ხედავს, რომ ჩვენ ვისწავლეთ მისგან იმათი შეყვარება, ვინც იტანჯება, სიცოცხლისა და სიხარულის მინიჭება მათთვის, ვისაც არა აქვთ. ამ მა-რტივ სწავლებას შეგვახსენებს იესოც.

14 ივლისი

სამშაბათი
2026

რიგითი XV კვირა [III], მწ

წმ. კამილო დე ლელისი, ხუცესი, ჰოსპიტალიერ ბერთა, კამილიელთა ორდენის დამაარსებელი, +1614 რომში

ეს 7,1-9; ფს 47; მთ 11,20-24

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

ყურადღებით იყავ ამ ძმაებმა ტრი ეს 7,4

ეს არის უფალი, რომელიც თავისი წინასწარმეტყველ ესაიას მეშვეობით ამშვიდებს მეფე აქაზს, შეშფოთებულსა და აღელვებულს მტრების მოახლოების გამო. ჩვენც, მძიმე უბედურებების წინაშე, რომლებიც ხდება, არ დავკარგავთ იმედს და შინაგან მშვიდობას: მოვუსმენთ ჩვენს მწყემსებს, რომლებმაც იციან როგორ მიგვიყვანონ უფალთან.

15 ოთხშაბათი 2026

ივლისი

რიგითი XV კვირა [III]

წმ. ბონავენტურა, ალბანოს ეპისკოპოსი და კარდინალი, ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1274 ლიონში კრების დროს, (მ), თ

ეს 10,5-7.13-16; ფს 93; მთ 11,25-27

ადიდებ იესოს ზეცის და მიწის უფალს მათ 11,27

მადლობა, იესო, რომ შენი სიტყვებითა და შენდამი რწმენის ნიჭით მომანიჭე გამოცდილება, რომ ღმერთი მამაა, რომელსაც მუდამ ვუყვარვარ. მადლობა მისი მზრუნველობის გამოცდილებისთვის უამრავ გარემოებაში. მადლობა იმ ნიჭისთვის, რომ მასთან ერთად მწადდეს, რათა ყველამ, ერთ დღეს, შეძლოს შენს გარშემო შეკრება, შენს ეკლესიაში.

16 ივლისი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XV კვირა [III], მწ

(3.VII) წმ. ღ. გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული, +1068;
კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი

ეს 26,7-9.12.16-19; ფს 101; მთ 11,28-30

პირტპირია ძართის ეცა ეს 26,7

იესო გვიწვევს, მივიდეთ მასთან, რომ გავთავისუფლდეთ ჩაგვრისა და დაღლილობისგან, რომელშიც ჩაგვკეტა ცოდვამ — როგორც ჩვენმა, ისე ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს ცოდვამ. სწორედ იგი, იესო, არის მართალი, რომელზეც წინასწარმეტყველი საუბრობს. მასთან სიარული სიხარულია, უსაფრთხოებაა, მტკიცე იმედია, რადგან მასთან არავინ იკარგება და არავინ იღლება — მისი ბილიკი სწორია.

17 ივლისი

პარასკევი
2026

რიგითი XV კვირა [III], მწ

ეს 38,1-6.21-22.7-8; ფს, ეს 38,10.11.12.16; მთ 12,1-8

ვისძინე შენი ლოცვა ეს 38,5

წინასწარმეტყველი სნეულ მეფეს ღვთის სიტყვებს გადასცემს. მეფე ევედრებოდა ღმერთს, მოეცა კიდევ რამდენიმე წელი სიცოცხლე — მისი თხოვნა განმტკიცებული იყო მორჩილებით. მართლაც, ის ყოველ-თვის ცდილობდა ღვთის ნების აღსრულებას. ახლა ღმერთი ეუბნება, რომ სურს აღასრუ-ლოს მისი ლოცვა — კიდევ თხუთმეტი წელი იცოცხლებს! მეც ვისწავლი, ღმეთისადმი ჩემ თხოვნებს თან დავურთო მორჩილება მისი სურვილებისადმი!

18 ივლისი

შაბათი
2026

რიგითი XV კვირა [III], მწ

მიქ 2,1-5; ფს 9B; მთ 12,14-21

აჰა, რომელი მსახური მთ 12,18

მახარებელი ხედავს როგორ სრულდება ულამაზესი წინასწარმეტყველებები. იესო მართლაც არის ღმერთის მსახური, მისი სიყვარულის, მისი მოწყალების მსახური. ხედავენ ყველანი და ყველა ხარობს, დაწყებული სნეულებითა და ავამდმყოფებით და თვით შეპყრობილნიც კი. ყველა აღიდგენს იმედსა და გამბედაობას იცხოვრონ ამ სოფელში, მას შემდეგ რაც ის მათ შორისაა.

19 ივლისი

ჯვრის 2026

რიგითი XVI კვირადღე, «ა», [IV], მწ

სიბრ 12,13.16-19; ფს 85; რომ 8,26-27; მთ 13,24-43

მთესველი კაცის ძე მთ 13,37

იესოს იგავები იწყება იმ მთესველის იგავით, რომელიც გამოდის რომ შეასრულოს თავისი საქმე, სამუშაო, რომელიც ემსახურება მრავალთათვის პურის შოვნას. კაცის ძე გამოდის: მოვიდა ზეციდან, თავისი სავანიდან, და თესლი აიღო მამის გულიდან. ეს ყოველივე არის სიყვარულის ძღვენი. სადაც ფესვს გაიდგამს, მოიტანს ნაყოფს და ადამიანის გულის შიმშილი დაოკდება!

20 ივლისი

ორშაბათი
2026

წმ. აპოლინარიუსი, რავენის ეპისკოპოსი
და წამებული, IIს.

მიქ 6,1-4.6-8; ფს 49; მთ 12,38-42

ღმერთო, იარე მოკრძალებით შენს ღმერთთან მიქ 6,8

რჩევა თუ ბრძანება? ძღვენი! თავმდაბლობა არის იესოს მახასიათებელი, რომელსაც იზიარებს მარიამი, დედამისი. და არის ღვთაებრივი ცხოვრების ფერი და სითბო. ღმერთი არის თავმდაბლობა, თქვა წმიდა ფრანცისკე ასიზელმა. გინდა დაემსგავსო ღმერთს და გაიხარო მის მეგობრობით? იარე მოკრძალებით მასთან.

21 სამშაბათი 2026

ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმ. ლავრენტი ბრინდიზელი, ხუცესი, ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1619 ლისაბონში

მიქ 7,14-15.18-20; ფს 84; მთ 12,46-50

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

რო-ძელი ლ-ძერთია მერი ძსგავსი,
რო-ძელიცა... პა-ტიობს ცო-დვას! მიქ 7,18

იესო, შენ გვაცნობ მამის მოწყალებას მიტევებით – დავრდომილისა და სიმონ ფარისევლის სახლში ცოდვილი ქალის მიტევებით. რატომ იყვნენ ყველანი გაოცებულნი? უფრო მეტიც, რატომ გდებდნენ ბრალს ღვთის გმობაში? რელიგიურნი კი იყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცნობდნენ მამის გულს. შენ გარეშე, არავინ იცნობს მის სიყვარულს ცოდვის გამო ჩაგრული და დაღლილი ადამიანებისადმი: მხოლოდ შენ იცნობ მამის სიყვარულს და გვაძლევ მას!

22 ოთხშაბათი 2026

ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი,
უფლის მოწაფე დ, [ს], თ

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

იესომ უთხრა მას: "მარიამ!" იო 20,16

სახარება გვიჩვენებს მარიამ მაგდალელს მისი ცხოვრების კულმინაციურ მომენტში: შეხვდა იესოს, ცოცხალს ახალი ცხოვრებით, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდა. თავად ის ამოაცნობინებს საკუთარ თავს. და ყოველთვის ასეა: იესოს ვხვდებით, როცა მას სურს, არა როცა ჩვენ გადავწყვეტთ რომ შევხვდეთ. ამიტომ ვიქნებით ყოველ-თვის ფხიზელნი და ყურადღებიანი.

23 ივლისი

ხუთშაბათი
2026

წმ. ბრიგიდა შვედი, ევროპის მფარველი,
ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი,
+1373 რომში [ს], თ

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი იო 15,1

ჭეშმარიტი ვაზი არის ის, რომელიც იძლევა მომწიფებულ ნაყოფს და შესაფერისს ახალი ღვინისათვის. ჭეშმარიტი ვაზი არის ის, რომელიც არ მოატყუებს და აკმაყოფილებს ადამიანის წყურვილს. ჭეშმარიტი ვაზი შენ ხარ, იესო! მე მსიამოვნებს, რომ ვარ შენზე დანერგილი, ანუ ლერწი, რომელიც ატარებს შენს ნაყოფს. და იმისთვის, რომ ნაყოფი კარგი იყოს, ვემზადები ჩვენი მამის სასხლავისათვის. წმ. ბრიგიდასთან ერთად კვლავ ვილოცოთ ევროპის მმართველებისთვის.

24 ივლისი

პარასკევი

2026

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი,
ბერი ლიბანში +1898

იერ 3,14-17; ფს, იერ 31,10-13; მთ 13,18-23

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის
გახსენება (+2017)

ყოველი ძესა არის ის, ვინცა ისმენს სიტყვასა მთ 13,23

შენი სიტყვა, იესო, შემოდის ჩემს გულში; როცა მას პოულობს თავისუფალს ეკლესიისგან, გამოაქვს ნაყოფი, რომლითაც მშივრები გაიხარებენ. ვეცდები რომ მასში არ იყოს საზრუნვი, იყოს თავისუფალი ფულის სიყვარულისგან, იყოს შორს ადგილებისგან, რომლებსაც ეშმაკი იკავებს. მაუწყე შენი სურვილები, იესო!

25 ივლისი

შაბათი
2026

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი, XIს.

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

ის, ვინცა აღადგინა იესო, აღადგენს ჩვენცა 2კორ 4,14

მოციქული იაკობი მოკლეს, რადგან იყო ერ-
თგული შენდამი, იესო. არ უარგყო შენ. შესვა
შენი ბარძიმი, ითმინა რათა ამ სოფელში
ანათოს შენი და ჩვენი მამის სიყვარული,
გასწირა ცხოვრება რომ ყოფილიყო შენი
მოწმე. შენ ახლა აძლევ მას ახალ და მარა-
დიულ ცხოვრებას, იმას, რომელიც შენ მიიღე
მამისგან მესამე დღეს.

26 ივლისი

კვირა 2026

რიგითი XVII კვირადღე, «ა», [I], მწ

წმ. იოაკიმე და წმ. ანა, მშობელნი ნ. ქ. მარიამისა, (მ), თ

3მეფ 3,5.7-12; ფს 118; რომ 8,28-30; მთ 13,44-52

კაცმ სასუფეველი ჰგავს ყანაში ფარულ განძს მთ 13,44

არავინ შედის ცათა სასუფეველში იარაღის დახმარებით. ეს არის სასურველი და ნანატრი განძი, მაგრამ დამალული. ვინც მას პოულობს, არ უნდა გაახმაუროს თავისი აღმოჩენა დაუყოვნებლივ. მას ფლობენ, თუკი სიჩუმეში ამწიფებენ. ვინც შენ გპოულობს, იესო, დაელოდება ხმის ამოღებას. მისი შეცვლილი და სიხარულით სავსე ცხოვრება იქნება ჭეშმარიტი და სარწმუნო გამოცხადების დასაწყისი.

27 ივლისი

ორშაბათი
2026

რიგითი XVII კვირა [I], მწ

იერ 13,1-11; ფს, რჯლ 32,18-21; მთ 13,31-35

ძინდობ მოძრობ ქე მთელი ისრელის სწლი იერ 13,11

წინასწარმეტყველმა იერემიამ, ღმერთის შთაგონებით, გაიკეთა წელზე სარტყელი. ის დამპალიყო და აღარაფრად ვარგოდა. რა უნდა გაგვეგო წინასწარმეტყველის ამ ჟესტიდან? ღმერთმა აირჩია ხალხი, რომ შეერთებულიყო მასთან და მისი მორჩილი ყოფილიყო, მაგრამ... პირიქით, ხალხი მისდევს მანკიერებებს, როგორც კერპთმსახურნი. ეს ხალხი აღარ ემსახურება მიზანს, გახდა უსარგებლო ღმერთის გეგმისთვის.

28 ივლისი

სამშაბათი
2026

რიგითი XVII კვირა [I], მწ

(15.VII) წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. (+~305)

იერ 14,17-22; ფს 78; მთ 13,36-43

კერპებს მოგრის არის ვინმე, ვისაც შეუძლია
ნვიმის მოყვანა? იერ 14,22

იერემია განაგრძობს წინასწარმეტყველებას, რომ დააფიქროს ხალხი, რომელიც კერპთმსახურებას აჰყოლია. კერპები არის ადამიანის ბოროტებები, რომლებიც მიიჩნევა ნამდვილ კეთილდღეობად. მაგრამ ისინი არაფრად ვარგა, არ აძლევს ადამიანს და მის ყანებს იმას, რაც საჭიროა ცხოვრებისთვის, მშვიდობისთვის და სიხარულისთვის. რა აზრი აქვს მათ მსახურებას?

29 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. მართა, მარიამი და ლაზარე,
უფლის მოწაფენი, (მ), თ

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან, ლკ 10,38-42

შენი ძმა აღდგება იო 11,23

მართა იღებს ამ დაპირებას იესოსგან. მას არ ესმის, ჯერაც არ იცის, რომ იესოს ყოველი სიტყვა არის ჭეშმარიტება უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე ჩვენ ვხვდებით. რომ დაეხმაროს მას გაეცნოს როგორც "აღდგომა და სიცოცხლე" და მოამზადოს საკუთარი სიკვდილისთვის და ახალი ცხოვრებისთვის, იესო მოუხმობს მის ძმას ლაზარეს და ისიც გამოდის სამარხი-დან, სადაც იწვა ცივი და შეხვეული.

30 ივლისი

ხუთშაბათი

2026

რიგითი XVII კვირა [I], მწ

წმ. პეტრე ქრიზოლოგი, რავენის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +~451

იერ 18,1-6; ფს 145; მთ 13,47-53



იერ 18,6

მეთუნე, როცა მუშაობს, თუ ჭურჭელი არ გამოდის როგორიც სურდა, თავიდან ზელავს თიხას და იწყებს ხელახლა. ჩვენ, ამბობს წინასწარმეტყველი, ვართ როგორც ის თიხა: ვართ უფლის ხელებში და ვანებებთ, ჩამოგვაყალიბოს, როგორც მას სურს, რომ არ ვიყოთ უსარგებლონი ზეციურ სასუფეველში.

31 ივლისი

პარასკევი

2026

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუცესი,
იეზუიტთა დამაარსებელი, +1556 რომში, (მ), თ

იერ 26,1-9; ფს 68; მთ 13,54-58



იერ 26,4

რა ხდება, თუ არ ვემორჩილებით უფალს? როცა არ ვართ მორჩილნი ღმერთისადმი, საკუთარ თავს ვანადგურებთ და სხვებსაც ვაზიანებთ. ვხდებით როგორც მარილი გემოს გარეშე, რომელსაც ბოლოს გზაზე მოისვრიან და გაითელება.